საქართველოს პარლამენტი

საქართველოს კანონის პროექტი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

კანონპროექტის დასახელება

საქართველოს პარლამენტის წევრი გია ჟორჟოლიანი *კანონპროექტის ინიციატორი*	საქართველოს პარლამენტის წევრი გია ჟორჟოლიანი *კანონპროექტის ავტორი*
საქართველოს პარლამენტის წევრი **გია ჟორჟოლიანი –** თანამომხსენებელი – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი კოვზანაძე –** *მომხსენებელი, წამყვანი კომიტეტი*	საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატის მთავარი სპეციალისტი **ქართლოს ეზუგაია –** *კანონპროექტზე კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი პირი*

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ალექსანდრე ტაბატაძე –

საბოლოო რედაქციისგან განსხვავებული

<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 309-ე მუხლის:

ა) მე-15 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. 2022 წლის 1 იანვრამდე საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ბაზრის (ბაზრობის) ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილიდან, მათ შორის, დახლიდან, გარდა ფიზიკური პირისა, რომელსაც მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი ან რომელიც დარეგისტრირებულია ან ვალდებულია დარეგისტრირდეს დღგ-ის გადამხდელად ამ კოდექსის შესაბამისად.“;

ბ) 42-ე ნაწილის:

ბ.ა) „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ.ბ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) არაუგვიანეს 2022 წლის 1 იანვრისა სრულად უზრუნველყოს ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილები საკონტროლო-სალარო აპარატებით.“;

გ) 110-ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 111-ე ნაწილი:

„111. ამ კოდექსის 26^2 მუხლის მე-5 ნაწილისა და 290^2 მუხლის მოქმედება შეჩერდეს 2022 წლის 1 იანვრამდე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
2019 წლის ... დეკემბერი.